ლილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

თბილისი–ბორჯომი

№6 ივნისი 1949

დილა

№ 6

ივნისი
1949

საქართველოს ალკპ ცენტრალური
კომიტეტის უოველთვიური ორგანო
ბავშვთა ჟურნალი მცირეწლოვანთათვის

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
ხამშობლო გაახარეო“.

ДИЛА
ежемесячный детский журнал
ЦК ЛКСМ ГРУЗИИ

პუშკინი

იკი დაიბადა მშრომელ ხალხის გულში,
მიტომ ხალხის მგოსანს ეძახიან პუშკინს.
უმღეროდა მეფის ბორკილების ლეწვას,
ხალხის სიყვარული აბჯარივით ეცვა.
და თუმც მტერთა ხელით გულზე მოხვდა ტყვია,
განა მოჰკლეს?!. პუშკინს უკვდავება ჰქვია.
მგოსნის ჩანგის ქნარა დღესაც ტკბილად გვესმის...
მისი ყველა წიგნი, მისი ყველა ლექსი
ზღვად გაშლილა სწავლით გადასალახავი...
მაშ ამ სიბრძნის ზღვაში შევაცუროთ ნავი!
ვინ თქვა მტერმა მოჰკლა!? ისევ ჩვენთან არის,
დიდი რუსი ხალხის დიდი მომღერალი!

იოსებ ნონეშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

4030

ალექსანდრე პუშკინი თბილისში

ნახატი იოსებ გაბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულადიმერ ზამბახიძე

დიდი რუსი მწერალი *)

ლიცეუმის დამთავრებისას ალექსანდრე პუშკინს 18 წელი შეუსრულდა. ახალგაზრდა პოეტი ძლიერ ცოცხალი, მარდი და ლონიერი იყო. კარგი ლექსების წერასთან ერთად პუშკინმა ცურაობა, ფარიკაობა და ცხენოსნობაც იცოდა.

21 წლისაც არ იყო პუშკინი, როდესაც მან შესანიშნავი ზღაპარი „რუსლანი და ლიუდმილა" დაწერა.

ამ ნაწარმოების შესაქმნელად პუშკინს დაეხმარა იმ ზღაპრების ცოდნა, რომელსაც ბავშვობისას ბებია და გადია მოუთხრობდნენ.

„რუსლან და ლიუდმილამ" პუშკინს მთელს რუსეთში გაუთქვა სახელი. ეს ზღაპარი ძალიან მოეწონა ცნობილ რუს პოეტს ჟუკოვსკის. აღტაცებულმა ჟუკოვსკიმ პუშკინს აჩუქა თავისი სურათი წარწერით: „გამარჯვებულ მოწაფეს, დამარცხებული მასწავლებლისაგან".

* * *

გადია არინა როდიონის-ასული მარტო ზღაპრებს კი არ უამბობდა ახალგაზრდა პუშკინს; იგი მომავალ პოეტს მოუთხრობდა, თუ როგორ სტანჯავდნენ და აწამებდნენ მეფე და მემამულეები მშრომელ ხალხს.

როდესაც წამოიზარდა, პუშკინმა თავისი თვალით დაინახა ყმა-გლეხების ჩაგვრის სურათები. ამიტომ მან შეიძულა მეფე, მისი მოხელეები და მათ წინააღმდეგ მიმართულ ლექსებს წერდა.

ამ ლექსების დაბეჭდვა იმ დროს არ შეიძლებოდა, და ხალხი ზეპირად სწავლობდა მათ.

მეფის ჟანდარმებმა მალე გაიგეს, რომ ამ რევოლუციური ლექსების დამწერი პუშკინი იყო, და მას ბესარაბიის პატარა ქალაქში, კიშინიოვში გადასახლება მიუსაჯეს.

პუშკინმა კავკასიასა და ყირიმზე გავლით იმოგზაურა კიშინიოვამდე.

კავკასიაში, პოეტმა პირველად ნახა თოვლით დაფარული მაღალი მთები, აქაფებული მდინარეები. იგი პირველად აქ გაეცნო ვაჟკაცი და გაბედული მთიელების ცხოვრებას. ყირიმის ლამაზმა ბუნებამაც მოხიბლა პოეტი და ეს შთაბეჭდილებები თავის პოემებში „კავკასიის ტყვე"-ში და „ბახჩისარაის შადრევანში" ასახა.

კიშინიოვში პუშკინი დაუახლოვდა ახალგაზრდა ოფიცრებს, რომლებიც მეფის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდნენ. პუშკინი შეთქმულთა საზოგადოების წევრი არ ყოფილა, მაგრამ მთელი გულით თანაუგრძნობდა მათ.

პოეტის მეგობრები მეფეს თხოვდნენ, რომ პუშკინისათვის პეტერბურგში დაბრუნების ნება მიეცა, მაგრამ ამ თხოვნაზე უარი მიიღეს. მეფე მხოლოდ იმაზე დათანხმდა, რომ პუშკინი კიშინიოვიდან ქ. ოდესაში გადაეყვანათ. ოდესაში პოეტი, გენერალ-გუბერნატორის ვორონცოვის კანცელარიაში მსახურებდა პატარა მოხელედ. ვორონცოვი ამაყად და აგდებულად ეპყრობოდა პუშკინს, ბლენდია გუბერნატორს პოეტი სამაგიეროს იმით უხდიდა, რომ მასზე

---

*) დასასრული. იხილე „დილა" № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პუშკინი ლიცეუმის ბალში

(ქანდაკება)

დამცინავ ლექსებს წერდა. გაბრაზებულმა ვორონცოვმა მეფეს თხოვა, რომ პუშკინი ოდესიდანაც გაესახლებინათ. მეფემ გუბერნატორს თხოვნა შეუსრულა და დიდი პოეტი რუსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელ მიხაილოვსკოეში გადაკარგა.

სოფ. მიხაილოვსკოეში პუშკინთან მხოლოდ მისი გამზრდელი, არინა როდიონის-ასული, ცხოვრობდა. იგი ზამთრის ღამეებში დაუღალავად უამბობდა პოეტს ზღაპრებს და უმღეროდა ხალხურ სიმღერებს.

მიხაილოვსკოეში ყოფნის დროს პუშკინმა ბევრი ლექსი, პოემა და მოთხრობა დაწერა. მათ შორის — „მეთევზისა და თევზის ზღაპარი".

* * *

სწორედ იმ ხანებში, როდესაც გადასახლებული პოეტი მარტოობაში იტანჯებოდა, რუსეთის მეფეს პეტერბურგში „დეკაბრისტები"*) აუჯანყდნენ. მეფემ ისინი სასტიკად დასაჯა: აჯანყების ხუთი მთავარი ხელმძღვანელი ჩამოახრჩვეს და ასზე მეტი სხვა მონაწილე ციმბირის კატორღებში გაგზავნეს.

გადასახლებულთა შორის პუშკინის მეგობრებიც იყვნენ: პოეტი კიუხელბეკერი და პუშჩინი.

დაპატიმრებული დეკაბრისტების ქალალდებში ჟანდარმებმა პუშკინის მრავალი რევოლუციური ლექსი იპოვეს. ამის გამო პოეტი მეფისაგან ახალ სასჯელს მოელოდა, მაგრამ მეფე ნიკოლოზი ეშმაკურად მოიქცა: მან ჟანდარმებს სოფ. მიხაილოვსკოედან სასწრაფოდ ჩამოაყვანინა პუშკინი. მეფესთან საუბრის დროს პოეტს თავი ამაყად ეჭირა. მეფე შეეკითხა პუშკინს: „14 დეკემბერს რომ პეტერბურგში ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი". პუშკინმა უპასუხა: „ვიქნებოდი სწორედ იქ, სადაც ჩემი მეგობრები იყვნენო". მიუხედავად ასეთი პასუხისა, მეფემ პუშკინს შერიგება სთხოვა და პირველმა გაუწოდა მას ხელი. პუშკინი დიდი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა მეფეს შერიგებაზე. ამ დღიდან

*) დეკაბრისტებს მათ იმიტომ უწოდებდნენ, რომ აჯანყება დეკემბრის თვეში მოხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პუშკინი საცხოვრებლად მოსკოვში დარჩა. მთელი მოსკოვის საზოგადოება შეჰხაროდა პოეტის განთავისუფლებას.

1828 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. პუშკინს ფრონტზე გამგზავრების დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ მეფის მთავრობამ ნება არ დართო; მიუხედავად ამისა, პუშკინი ჩუმად გაემგზავრა რუსეთიდან კავკავში (ახლანდელი ძაუჯიკაუ) და საქართველოს სამხედრო გზით თბილისისაკენ გამოსწია.

1829 წელს პუშკინი თბილისში ჩამოვიდა. იგი აღტაცებული იყო ქართველებით, რომლებსაც ნიჭიერი და მეომარი ხალხი უწოდა. ეს შთაბეჭდილებები პუშკინს წარმტაცად აქვს აღწერილი მოთხრობა „გამგზავრება არზრუმში“.

თბილისიდან პოეტი ფრონტზე გაემგზავრა და ბრძოლებშიაც მიიღო მონაწილეობა.

პუშკინი ფრონტიდან ისევ თბილისს დაბრუნდა და ხუთ დღეს დარჩა აქ. თბილისის საზოგადოება დიდი სიყვარულით და პატივისცემით შეეგება პოეტს. პუშკინი ამ შეხვედრას გაუხარებია და დამსწრეთათვის ასე მიუმართავს: „ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს ისეთი დღე, როდესაც ამაზე მეტად მხიარული ვყოფილიყავი. ვხედავ, თუ როგორ ვუყვარვარ ხალხს, როგორ მაფასებს და ეს მაბედნიერებს“-ო.

საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი პუშკინმა მრავალ ლექსში გამოხატა; მისი ერთ-ერთი ულამაზესი ლექსია: „საქართველოს მთებს“.

თბილისში, იმ ქუჩას, სადაც პოეტი ცხოვრობდა, პუშკინის სახელი უწოდეს. პუშკინის ქუჩაზე მდებარე პატარა ბაღში პოეტის ის ძეგლი დადგეს, რომელიც დღესაც ამშვენებს ამ ადგილს.

საქართველოდან მოსკოვში დაბრუნებული პუშკინი ახალი ენერგიით განაგრძობდა მწერლობას.

მაგრამ პოეტის პირადი ცხოვრება ამ წლებში მეტისმეტად მძიმე იყო. დამოკიდებულება მეფესა და პუშკინს შორის სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა. ნიკოლოზი უნდობლად უცქეროდა პოეტს, პუშკინიც არ ფარავდა თავის სიძულვილს მეფისადმი. პუშკინზე გადამტერებული იყვნენ აგრეთვე მეფის სასახლის გარშემო შემოკრებილი თავადები და აზნაურები, რომლებიც მეფის ერთგული მსახურები იყვნენ. პოეტი მწარე ლექსებით იგერიებდა და თავს ესხმოდა მტრებს.

ბოლოს პუშკინის მტრები ცილისწამების გზას დაადგნენ. პუშკინმა ოჯახის შეურაცხყოფისათვის დუელში გამოიწვია დანტესი, რომელიც საფრანგეთიდან რევოლუციის დროს რუსეთში გამოქცეულიყო და მეფის სამსახურში იმყოფებოდა.

1837 წლის 29 იანვარს დანტესმა დიდი რუსი პოეტი მოჰკლა.

მთელი ხალხი ცხარედ დასტიროდა პუშკინის უდროოდ დაკარგვას. მეფის მთავრობა ისე იყო დაშინებული ხალხის უკმაყოფილებით, რომ ნათესავებს ნება არ მისცა, პოეტი პეტერბურგში დაესაფლავებინათ.

ჟანდარმებმა ღამით მარხილით გააპარეს პუშკინის ცხედარი პეტერბურგიდან და ფარულად დაკრძალეს იგი სოფ. მიხაილოვსკოესთან სვიატოგორსკის მონასტრის სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

მეთევზისა და თევზის ზღაპარი

თარგმანი **გრიგოლ აბაშიძისა**

ნახატები **იოსებ გაბაშვილისა**

იყო ცხრა მთას იქით
მოხუცი ცოლ-ქმარი,
მიწურში ცხოვრობდნენ
ლურჯი ზღვის ნაპირად,
თავად ბერიკაცი
იყო მებადური.
მუდამ ჯარას უჯდა
მისი დედაბერი.
ერთხელ მებადურმა
ბადე გადისროლა,
ბადეს ცარიელა
ზღვის შლამი ამოჰყვა.
ისროლა მეორეთ
ბადე მებადურმა,
ბალახი ამოჰყვა
ბადეს ორი ღერი.
მესამედ ისროლა
ბადე მებადურმა
და თევზი ამოჰყვა
ბადეს ერთად-ერთი.
ისიც ოქროს თევზი,
უბრალო კი არა!

ენა ამოიდგა
უცებ ოქროს თევზმა:
„ოღონდ გამიშვი და
ბედს გწევ ბერიკაცო;
ყველა ნატვრასა და
სურვილს აგისრულებ“.

გაშტერდა მოხუცი,
შიშმა აიტანა,
ბადით თევზს იჭერდა,
რაც თავი ახსოვდა,
თევზის ლაპარაკი
დღემდე არ ენახა.
ადგა, ოქროს თევზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვაში გადისროლა.
თან გზა დაულოცა:
„წადი ოქროს თევზო,
მე შენგან სანაცვლოდ
სიკეთე არ მინდა,
ლურჯი ზღვის ტალღებში
ლაღად ინავარდე“.
დაბრუნდა მოხუცი
შინ ხელცარიელი,
დედაბერს უამბო:
„მოხდა სასწაული,
თევზი დავიჭირე,
ისიც ოქროს თევზი!
თევზმა კაცის მსგავსათ
ენა ამოიდგა,
მითხრა: „გამიშვი და
ბედს გწევ ბერიკაცო,
ყველა ნატვრასა და
სურვილს აგისრულებ“.
მე ვერ გავუბედე
ნატვრა გამემხილა,
ისე გადვისროლე
ზღვაში ოქროს თევზი.

მისდგა დედაბერი,
ლანძღა ბერიკაცი:
„ჩერჩეტო ბებერო,
აგრე რომ გაუშვი,
როგორ არა სთხოვე
ნატვრის შესრულება.
ხომ ხედავ ვარცლი რომ
დაიმტვრა, დაძველდა,
ეგ მაინც გეთხოვა
ოქროს თევზისათვის“.
მოხუცი მეთევზე
ზღვისკენ გაემართა,
შეირხნენ, შეტოკდნენ
ლურჯი ზღვის ზვირთები.
უწყო მებადურმა
ოქროს თევზს ძახილი.
წამსვე ოქროს თევზი
მასთან დაიბადა.
ჰკითხა: „რად მეძახდი,
რა გსურს ბერიკაცო?“

მეთევზემ ოქროს თევზს
დაუკრა თავი და
ბოდიშით შესთხოვა:
„ნუ მიწყენ ბატონო,
ჩემი დედაბერი
საშველს აღარ მაძლევს,
ჩვენი დამტვრეული,
ძველი ვარცლის ნაცვლად
შინ ახალი ვარცლი
თუ არ მივუტანე“.

„ნუ სწუხარ მოხუცო,“ —
უთხრა ოქროს თევზმა,—
„წადი, დაგიხვდება
შინ ვარცლი ახალი“.
დაბრუნდა მოხუცი
თავის დედაბერთან,
ხედავს რომ წინ უდევს
ცოლს ვარცლი ახალი,
მაგრამ წინანდელზე
უფრო ილანძღება:
„ჰაი შე ჩერჩეტო!
თევზს ვარცლი რომ სთხოვე,
ვარცლს რა თავში ვიხლი,
ვერცხლის ხომ არ არის!
მიწური გვენგრევა,
ქოხი რად არ სთხოვე!“
ისევ ზღვას მიადგა
მოხუცი მეთევზე,
(შეირხა, აიმღვრა
ლურჯი ზღვის ტალღები)
უწყო მებადურმა
ოქროს თევზს ძახილი.
წამსვე ოქროს თევზი
მასთან დაიბადა.
ჰკითხა: „რას მეძახდი,
რა გსურს ბერიკაცო?“
მეთევზემ ოქროს თევზს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაუკრა თავი და
ბოდიშით შესთხოვა:
„ნუ მიწყენ ბატონო!
ცოლი არ მასვენებს,
ის შეჩვენებული,
მიწური აღარ სურს,
ქოხი მოინდომა“.

„ნუ სწუხარ მოხუცო, —
უთხრა ოქროს თევზმა, —
გაბრუნდი და ქოხი
გექნება ახალი“.
დაბრუნდა მეთევზე,
მიწუ[illegible]ს ადგილზე
ახალი ქოხი დგას
ნათელი მაღალი,
სულ მუხის გათლილი
ძელებით ნაშენი,
სარკმელთან ცოლი ზის
და უბღვერს შორიდან,
უყვირის: „ჩერჩეტო,
თევზს ქოხი რომ სთხოვე,
მე ქოხი რად მინდა,
გლეხ ქალად თუ დავრჩი,
თევზს სთხოვე გამხადოს
ტახტის აზნაური“.

კვლავ ლურჯ ზღვას მიადგა
მოხუცი მეთევზე,
(ღელავდა ლურჯი ზღვა,
შფოთავდნენ ტალღები)
უწყო მებადურმა
ოქროს თევზს ძახილი,
წამსვე ოქროს თევზი
მასთან დაიბადა.
მეთევზემ ოქროს თევზს
დაუკრა თავი და
ბოდიშით შესთხოვა:
„ნუ მიწყენ ბატონო,
ცოლი უფრო ანჩხლობს
და უფრო მაგინებს,
უბრალო გლეხ ქალად
აღარ სურს დარჩენა,
ტახტის აზნაურად
გახდომა ისურვა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნუ სწუხარ მოხუცო, —
უთხრა ოქროს თევზმა, —
წადი, ასრულდება
ცოლის ეგ სურვილიც“.
დაბრუნდა მოხუცი
თავის დედაბერთან,
რას ხედავს! სასახლე
დგას უზარმაზარი,
მის ცოლს ბეწვეული
მოუსხამს ძვირფასი,
ბეწვქვეშ ფარჩეული
უჩანს მოშრიალე,
ყელი დაუფარავს
ასხმულ მარგალიტებს,
ოქროს სამაჯურით
მაჯა უბრჭყვიალებს.
ფეხზე ულაპლაპებს
წითლად ფეხსაცმელი.
ირგვლივ ახვევია
გუნდი მოახლეთა,
ზოგს სცემს გამეტებით,
ზოგსაც თმებით ათრევს.
დედაბერს მოხუცი
კრძალვით ეუბნება:

„სალამი ქალბატონს!
აზნაურ ქალბატონს!
ახლა კი იქნები
ბედით კმაყოფილი“.

ერთი შეუყვირა
მოხუცს დედაბერმა,
თავლაში გააგდო
ქმარი მეჯინიბეთ.
გავიდა ხანი და
თავგასულ დედაბერს
შური და სიხარბე
უფრო მოერია,
ისევ ოქროს თევზთან
გაგზავნა მოხუცი:
„წადი შეევედრე
ოქროს თევზს ბებერო,
ტახტის აზნაურად,
აღარ მსურს დარჩენა,
თხოვე რომ ხმელეთის
დედოფლად გამხადოს!“

შეშინდა მოხუცი,
დედაბერს შეჰკადრა:
„რას ამბობ დიაცო,
ეგ რამ მოგაფიქრა,
არც სიტყვა-პასუხი,
არც წესი მეფეთა
არ იცი, გახდები
ქვეყნის სასაცილო“

დედაბერს ბრაზისგან
სახე აელეწა,
სილა უთავაზა
ბერიკაცს მაგარი:
„ყაძახო, აზნაურს
სიტყვის შებრუნება
როგორ გამიბედე.
ახლავე გაჰქანდი
საითაც გიბრძანეს,
თორემ სულ ერთია,
თუ ნებით არ წახვალ
ძალით წაგათრევენ“.

ისევ ზღვას მიადგა
მოხუცი მეთევზე
(შავად დაიღრუბლა,
დაბნელდა ლურჯი ზღვა)
უწყო მებადურმა
ოქროს თევზს ძახილი,
წამსვე ოქროს თევზი
მასთან დაიბადა,
ჰკითხა: „რად მეძახდი,
რა გსურს ბერიკაცო?“
მეთევზემ ოქროს თევზს
დაუკრა თავი და
ბოდიშით შესთხოვა:
„ნუ მიწყენ ბატონო!
რავქნა დედაბერი

ისევ ამეშალა,
აზნაურის ბედი
უკვე არ იკმარა
ახლა დედოფლობა
ქვეყნის მოინდომა“
„ნუ სწუხარ მოხუცო, —
უთხრა ოქროს თევზმა, —
წადი, შევუსრულებ
შენს ცოლს მაგ სურვილსაც“.

დაბრუნდა მოხუცი
თავის დედაბერთან,
ხედავს გაბრწყინებულ
სამეფო პალატებს,
გაშლილ სუფრას უზის
მისი დიდაბერი,
უკვე მბრძანებელი
ქვეყნის დედოფალი.
თვითონ თავადები
ღვინოს სთავაზობენ,
კრძალვით ათასნაირ
ნამცხვარს მიართმევენ.
ირგვლივ შემორტყმიან
მრისხანე მცველები,
ბასრი ცულები აქვთ
მხრებზე გადებული.
მოხუცს მათ ნახვაზე
შიშით გააჟრჟოლა,
ფეხქვეშ ჩაუვარდა
დედაბერს ვედრებით:
„სალამი დედოფალს!
მრისხანე დედოფალს!
ახლა ხომ მაინც ხარ
ბედით კმაყოფილი?“
ზედაც არ შეხედა
მოხუცს დედაბერმა,
უბრძანა ბებერი
გაეგდოთ იმ წამსვე.
მაშინვე მისცვივდნენ
მოხუცს თავადები,
კინწისკვრით გააგდეს
გარეთ მებადური,
უკან დაედევნენ
დედოფლის მცველები,
კინალამ ცულებით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაჩეხეს საწყალი.
ხალხმა დააყარა
სიცილი, იძახდნენ:
„ახია, გაგრიას
აგრე მოუხდება,
იქნება ისწავლოს
ჭკუა მაგ ბებერმა
მუმლი აღარ დაჯდეს
ფასკუნჯის ადგილას.

გავიდა ხანი და
თავგასულ დედაბერს
შური და სიხარბე
უფრო მოერია.
უბრძანა კარისკაცთ
მეთევზის მოყვანა.
მოძებნეს მოხუცი,
მოჰგვარეს დედოფალს.
მოხუცს დედაბერი
ასე ეუბნება:
„წადი შეეეედრე,
ოქროს თევზს ბებერო,
უკვე დედოფლობა
აღარ მსურს ხმელეთის,
მსურს ვიყო დღეიდან
ზღვათა მბრძანებელი,
რომ ზღვაში ვიცხოვრო —
ვრცელ ოკეანეში,
მყავდეს ოქროს თევზი
მოახლე მსახურად“.

მოხუცმა დედაბერს
სიტყვა ვერ შეჰბედა.
ვერ ჰყადრა უარი,
უხმოდ დამორჩილდა
და ისევ მივიდა
ლურჯი ზღვის ნაპირას.
შავი ქარიშხალი
ზღვაზე მძვინვარებდა,
ზვირთი ზვირთს მოსდევდა
რისხვით დაგრაგნილი.
ცამდი ადიოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტალღების ღმუილი.
უწყო მებადურმა
ოქროს თევზს ძახილი.
წამსვე ოქროს თევზი
მასთან დაიბადა,
ჰკითხა: „რას მეძახდი,
რა გსურს ბერიკაკო?“
მეთევზემ ოქროს თევზს
დაუკრა თავი და
ბოდიშით შესთხოვა:
„ნუ მიწყენ ბატონო!
არ ვიცი რა ვუყო
ჩემს წყეულ დედაბერს,
უკვე დედოფლობა
მოსწყინდა ხმელეთის.
ახლა მოინდომა
ზღვათა დედოფლობა.
სურს ზღვაში იცხოვროს
ვრცელ ოკეანეში
და თვითონ შენ ჰყავდე
მოახლე მსახურად“.

მოხუცს ოქროს თევზმა
პასუხი არ უთხრა,
მხოლოდ ოქროს ბოლო
ზვირთს გაუდგაფუნა
და სიღრმე გასცურა.
ზღვის სიღრმე უძირო.
უცადა, უცადა
ოქროს თევზს მოხუცმა,
რომ აღარ გამოჩნდა,
უკანვე გაბრუნდა,
ხედავს ბერიკაკი
მის წინ ამართულა
ისევ ის მიწური,
მისი ძველი ქოხი,
ზღურბლზე ჩამომჯდარა
მისი დედაბერი
და წინ ძველი ვარცლი
უდევს დამტვრეული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე პუშკინი

ფუტკარი

ის ის იყო პირველ რილო-ჭრილოში*
ადრეული ყვავილები გაბრწყინდა,
და ფიჭიდან სურნელოვან თაფლისა,—
გასაოცარ სამეფოდან სანთლისა
მყის ფუტკარი — პაწაწინა აფრინდა...

გაზაფხულის მახარობელ ყვავილებს
გადუფრინა, თავზე გადაუარა.
სურს გაიგოს, სანატრელი სტუმარი
ნეტავ მალე მობრძანდება თუ არა!

სურს გაიგოს, მალე გაიფოთლება
არყის ხეთა წებოვანი კვირტები?!
აყვავდება შოთხვი** სურნელოვანი,
ან თუ მალე ამწვანდება მინდვრები!

თარგმანი **მურმან ლებანიძისა**

ნახატი პ. **დათიბაშვილისა**

საოცარი ციყვი

ნაძვი იზრდება სასახლის წინა,
ნაძვის ქვეშ ბროლის ჩარდახი ბრწყინავს.
იქ შინაურ ციყვს ჰქონია ბინა—
დიდი ეშმაკი ვინმე ყოფილა!..

თხილს შეექცევა, თან ლეკვებს მღერის,
სულ აკნატუნებს — თხილი აქვს ბევრი.
უბრალო არის ის თხილი განა?!
გარეთ — ნაჭუჭი ოქროსი არის,
შიგნით — გულები ზურმუხტისანი.

თარგმანი **მაყვალა მრევლიშვილისა**

---

*. რილო-ჭრილო — გამდნარ თოვლში ალაგ-ალაგ გამოჩენილი მიწა.

**. შოთხვი — ხის ჯიში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ი ლ ა

ირიჟრაჟა. ალმოსავლეთს
ვარდისფერი აკრავს,
და წყალგალმა, შორს, სოფელში
სანათური ჩაჰქრა.

მინდვრის ჭრელი ყვავილები
ნამით დაიცვარა.
გაიღვიძა ნახირმა და
მინდვრად გაიშალა.

ღრუბლებისკენ გადასცურა
თმაჭალარა ნისლმა.
სათიბისკენ გალივლივდა
გუნდი ბატებისა.

იჩქარიან ყანებისკენ, —
ხალხმა გაიღვიძა...—
მზე მობრძანდა, მზე გაბრწყინდა
და ზეიმობს მიწა.

თარგმანი **მურმან ლებანიძისა**

ნახატი ალ. ვეფხვაძისა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლავრენტი ჭიჭინაძე

დები

თამარი და ნინო სახლში დედაზე ადრე მოვიდნენ.

თამარმა მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ჭურჭელს შეჰხედა:

— დედას ვერ მოუსწრია... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და მაგიდისაკენ გაეშურა.

— იჰ, მე მეგონა რაღაც ამბავია— მეთქი. დედას ხომ ჩვენ ყოველთვის ვასწრებთ მოსვლას.

— ჩვენ კი ვასწრებდით ხოლმე, მაგრამ მაგიდა ყოველთვის ალაგებული გვხვდებოდა, ახლა კი... შეხედე, დილით იმ თეფშებიდან ხომ ჩვენ ვჭამეთ მაწონი? აი, ისევ გაურეცხავია. ალბათ, სამსახურში აგვიანდებოდა. რა ვქნათ, ხომ უნდა მოვეხმაროთ დედას?

დებმა წინსაფრები აიფარეს, ჭურჭელი აალაგეს, მაგიდა გაასუფთავეს და ახალ თადარიგს შეუდგნენ. თამარმა დედის მიერ გამზადებული სადილი პირველათ თავის პატარა დაიკოს მიართვა. ისინი აქეთ-იქით შემოუსხდნენ მაგიდას. სადილობას რომ მორჩნენ, თამარი ჭურჭელის რეცხვას შეუდგა. ნინომ იმ კუთხეში მიირბინა, სადაც დედა ჭურჭლის შესამშრალებლად გრძელ ტილოს ჰკიდებდა ხოლმე. კედელთან სკამი მიიდგა შეხტა და ჩამოიღო გრძელი ტილო.

პატარა დები ამ საქმეს მალე მორჩნენ. ყველაფერი თავის ადგილზე შეინახეს და მაგიდა გადასწმინდეს.

— თამარ, დედა რომ მოვა, რას იტყვის? — შეეკითხა ნინო.

— გაეხარდება. ყოველთვის ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ ვერ ასწრებს, —უთხრა თამარმა ნინოს და ჩანთიდან წიგნების ამოლაგება დაიწყო.

საღამოს დედა სამსახურიდან დაბრუნდა. ოთახში რომ შევიდა თამარი და ნინო გაკვეთილებს სწავლობდნენ. დედამ ღიმილით გადახედა მაგიდას, კარადა გამოაღო და როდესაც დარეცხილი ჭურჭელი დაინახა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა შვილებს, მოეხვია და ორივეს შუბლზე აკოცა.

ოთარ ჭელიძე

მატყუარა ვანო

ვანო ამხანაგებში
იკვეხნიდა ასე:
აუზი გვაქვს ეზოში,
ცივი წყალით სავსე,
როცა ძლიერ დამცხება,
გადავხტები წყალში,
როგორ სწრაფად დავცურავ,
უნდა ნახოთ მაშინ.
გუდკეთილი კაცია
მეეზოვე თედო,
მეთვალყურედ დამნიშნა,—
მოცურავეს მენდო.

მითხრა: არვინ ჩავიდეს,
გეჭიროსო თვალი,
თუ გინდა, რომ აუზში
შევუშვაო წყალი.
დააყარეს სიცილი,
ვანო რა თქვი, რაო?
შიგ თუ წყალი არ არის
როგორ დასცურავო?!
მატყუარა გაწითლდა,
რა თქვას საპასუხოთ?
შერცხვენილი გასცილდა
ამხანაგებს უხმოდ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნების კარი



ღიღილო

— სოსო, მინდორში წავიდეთ, ჯეჯილი დავათვალიეროთ, — უთხრა ვანომ მეგობარს.

— წავიდეთ. — უპასუხა სოსომ და გზას გაუდგნენ.

— აი ჯეჯილიც, — მხიარულათ წამოიძახა სოსომ და ხელი გაიშვირა. ზაფხულის ნიავი ჯეჯილს ზღვასავით აბიბინებდა. ბავშვები ფრთხილათ შევიდნენ ჯეჯილში და სარეველა ბალახებს ძებნა დაუწყეს.

— აი, სოსო, ეს მგონი ცერცველას ფოთლებია, — თქვა ვანომ.

— ეს კი ქინძრუტაა. რა მაცდური ბალახია, ადამიანის მოტყუება შეუძლია; — ქინძის მსგავსი ფოთლები ასხია და სარეველა კია. ამას და ცერცველას მრგვალი თესლი აქვთ, ალბათ გარჩევის დროს ხორბალში შეუმჩნეველად შეგორდნენ და ერთად დათესეს, — დაუმატა სოსომ.

— ეგრე იქნებოდა, — დაუდასტურა ვანომ.

ამ დროს ბავშვებთან ბრიგადირი მიხა და კოლმეურნე პეტრე მივიდნენ.

— აქ რას აკეთებთ? — ჰკითხეს ბავშვებს.

— სარეველა ბალახებს ვეძებთ, — უპასუხა სოსომ.

სოსო, ვანო, მიხა და პეტრე ჯეჯილში ფრთხილად ტრიალებდნენ და სარეველა ბალახებს მუსრს ავლებდნენ.

— ერთი შეხედეთ, ღიღილოსაც როგორ ამაყად აუშვერია თავი, კარგი ხარ, ლამაზი. მაგრამ პურს აფუჭებ, აი, ნახეთ, რა კარგი ხარისხის თეთრი პური გვექნეს, — თქვა მიხამ და ღიღილო ძირფესვიანად ამოთხარა.

ან. ახალშენიშვილი

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული სიმღერა

ლექსი რევაზ მარგიანისა

მუსიკა ოთარ თაქთაქიშვილისა

Marciale.





ბედნიერი ხალხის შვილებს
მშობლიური ზრუნვით გვზრდიან,
საბჭოეთის დიად ქვეყნის
ნორჩ ყვავილებს გვეძახიან.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვილი:
ლენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.

ლირსი ვიყოთ ჩვენი ხალხის,
ჩვენი ქვეყნის მთა და ველის,
ასე ფიქრობს საბჭოეთში
ყველა ნორჩი ლენინელი.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვილი:
ლენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.

4932

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასწერეთ და გამოიცანით!

ნახატი ან. კანდელაკისა

თ ენდებოდა, კოერტუღებდნენ იღვიძებდა. ამოვიდა. გივიმ ინახულა და პირი დაბანა. შემდეგ აიღო:- უნდა მოვკრიფოთ, თქვა და წავიდა, მშვენიერი სანახაები იყო: ქანაობდა, დამწიფებულიყო, ბრიდა, ტუბული იკერებოდა. სიმწიფისაგან ძირს ეცვიოდა. ძირს დახრილიყო. , და ბრბეასად გაწოლილიყვნენ. გივიმ მაყვალის რომ გადასწია, დაინახა: ა, თურმე ჩემი სად დებს კვერცხსო,- თქვა მან. მოიხადა, შიგ ჩაწყო და დაითვალა: გივის ქათამს იმდენი დაედო, რამდენიც ამ გამოცანაშია დახატული.

პირველ გვერდზე „ბანაკისკენ ჭერი, ჭერი". ხახ. რ. სტურუასი

პას უხისმგებელი რედაქტორი: რ. ფარგიანი
სარედაქციო კოლეგია: გრ. ბაბაშიძე, ეკ. გურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, გაუვ. ფრეგლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფეოშვილი, შ. ცხადაძე.

გამომცემლობა „კომუნისტი". რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 1 სართ. ტელ' 3-81-85

გამომცემლობის შეკვ. № 70 სტამბის შეკვ. 665 1305 ტირაჟი 7000 უფ 01897 ფასი 5 მან.

ტექსტი აწყობილია ლ. ფ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ოფსეტის სისტემის მანქანაზე „ზარია ვოსტოკას" სტამბაში, თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 42.